ხელოვანის
ტექსტი



თბილისის
საჯარო
ხელოვნების
ფონდი

ანა
გზირიშვილი
*ცენტრალური
ბაზარი*

www.tpa.fund
info@tpa.fund

ცენტრალური ბაზარი

პირველი ნაწილი.

ჩაფიქრებულ თავს უნდა რომ არკადაში გაიაროს,
მაგრამ სპირალად იხვევა და ისევ უკან ბრუნდება, გზა ებნევა ხილეულს შორის.
დამუნჯებული, ფიქრიანი მზერა სიცოცხლის ორომტრიალს აწყდება.
ფიქრების საწყისი და ამოსავალი ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ გადაკვეთის წერტილებში ეს ფიქრები იხერგებიან,
მათ შენობის ღრმა ნაპრალები იმწყვდევენ.

ცოცხალ საგანთა, უცნაურ საგნებთან ღამით მარტო დარჩენილთა საიდუმლო მდუმარება.
გასასვლელი, მორთული და დროს ამცდარი არქიტექტურული გაფორმებებით
გატენილია ხილით, ბოსტნეულით, ნაწარმით, ხორცეულით, მწვანილეულით, ფქვილის მტვრით,
ადგილ-ადგილ ძვლადაა ქცეული, ალაგ-ალაგ შეუნარჩუნებია სირბილე.
გასასვლელი,
ცენტრალური ბაზარი, მითიშული.

ბაზრის ბიოლოგიურ საგნებს შორის არიან ცოცხალი საგნები და ცოცხალთა გვამები.

ადგილას, რომელიც ასე სავსეა ეპიდერმული შეხებით
დრო ფოროვანია, მოგონებებს ნასვრეტები აქვთ,
ეს ნასვრეტები ცხოვრებას ეკვრიან,
ეკვრიან თავიანთი უცნაური ტექსტურებითა და ჭრილობებით
ზედაპირებს გადასმული ცვალებადი მატერიის მტვრითა და შრეებით
ისინი განსაზღვრავენ, როგორ გადასძვრება და ლპება ახალი შრეები.
გასასვლელი გვირაბი, რომელიც თავს ატყდება გამვლელს, ცენტრალური ბაზრის მარჯვენა შესასვლელისკენ ვესტიბიულად გარდაიქმნება.

როცა ხილები გადაბრუნდებიან და თავიანთ სხვა სახეებს ამჟღავნებენ.

დავინახე როგორ მიდის ვიღაც ჩემნაირი,
ჩემი სახის ოვალი აქვს, ჩემი მხრები.

წინანდელის მხოლოდ ნაწილები რჩება.
მთლიანი, რომელსაც ეკუთვნოდნენ - გაქრა, მისი საგნობრიობის ნაწილიღა რჩება.
სხვადასხვა საგანთა ნარჩენი ნაწილები ერთში გროვდება.
ნაწილებს შორისაა ჩემი სკულპტურა, რომელიც ნაკრების ერთ-ერთი ნაწილივით იქცევა. ის აგრეთვე ჩემი სკულპტურის შემორჩენილი ფრაგმენტია. ნაწყვეტიღა რაღაცის, რაც იყო.

სკულპტურა უსხეულო დამსწრეა

ჩემი სკულპტურები ჯერ-ჯერობით ვერ შეედრებიან ჩემი სახისა და სხეულის ამ სამყაროში არსებობას.
როგორ ვარსებობს მე ამ სამყაროში, როგორ არსებობენ ჩემი სკულპტურები ამ სამყაროში.

ჩემი თავის სკულპტურისთვის გადაცემა.

ბაზრის საგნები ერთმანეთს ისხლეტენ და ეს ფენს ნათელს მათ აქ ყოფნას,
მბჟუტავ აქყოფნას, რომელიც
ინთება და ქვრება და ინთება და ქვრება.
სკულპტურები სრულად მოდიან თავიანთ მოყვანილობებში,
საგნები თავისთავად არსებობენ,

მაგრამ ამავდროულად ნაწილები არიან უფრო დიდი მთლიანი საგნის, რომელმაც ერთიანი და თავდაპირველი ფორმა დაკარგა.
ხილებისა და ადამიანთა კუნთების და საგნების მოყვანილობები ერწყმის ერთმანეთს.
მოძრავი საგნები, გადამტანები, დამტარებლები,
მათი სივრცეები შიგნიდან და გარედან.
თეატრის სასცენო აღჭურვილობის ნარჩენი საგანი, წააგავს შესრულებულ დადგმას
რომელიც იყო.
ქმედების ნარჩენი,
მსახიობის შერჩევის ნარჩენი.
საგანთა ფორმების შესწავლა
სივრცის მიმართებითი ნაზიარები გამოცდილება, ცვლილების მოწმე
სკულპტურა, რომელიც საგანთა ქმედებებს განასხეულებს.
ნივთი მსახიობია ვიდეოში, რაღაც რაც მოხდა, და რაც პოტენციურად შეიძლება ისევ მოხდეს.
ქმედებათა, მოყვანილობათა და მნიშვნელობათა სნეული გაუჩინარების ზაფრა და აღტაცება,
და ამავე დროს მომხდარ რამეთაგან მოგვრილი აღტყინება
შთაბეჭდავს და აღარაა, შთაბეჭდავს, აღარაა.
მზერის განლაგების ტვირთი, წერტილის შერჩევისა.
სნეული მორფოლოგიები, რაღაც, რასაც ფარდა არ უნდა ახდოდა, ახლა გამოფენილია
მცირე სცენაზე.
მატერიის უკიდურესი შემცირება, დარჩენილი მატერია უბრალო უმცირესი მთლიანი არაა,
თითქოს ჭვარტლიაო ზედაპირზე.

ფხაჭვნით ძვლამდე ჩაატანო, იქამდე, რაც უტეხია.
...

ვიღებ მყარ ზეთოვან მასას და მაგიდის განაპირას ვათავსებ,
მაგიდისკენ ვიხრები,
მკერდით თითქმის ვეხები ჩემს მომავალ სკულპტურას,
ამას სითბოსთვის ვშვრები
თითქოს ნაშიერზე ვზრუნავდე.

ფორმის მოდელირებას ვცდილობდი, რომელიც ტორსის მინიატურულ მოყვანილობას
წააგავს, კიდურების გარეშე, კიდეები ფოკუსს გარეთ.

არ მსურდა მცოდნოდა, როგორ ან სად დაიწყებოდა ან დასრულდებოდა მისი პოტენციური
პლასტილინის კიდურები.

...
ტორსის დაბოლოებებს ვერ უგულებელვყოფ,

მოჭრილი კიდეების მოყვანილობები ისევ შუაგულს ესხლიტება, ტალღებივით, ჭავლივით.

მოდელს ვქმნი და ახლა მთლიან ფორმას კიდეები განსაზღვრავს, სადაც კიდურები უნდა იწყებოდნენ,

მაგრამ არ იწყებიან, განხეთქილება მოვიდა სხეულში,

მოკვეთილი ბოლოები მოყვანილობას უბრუნდებიან და ცვლიან შუა ტანს.

ახლა ჩემი ინტერესის მოყვანილობას ის განსაზღვრავს, რასაც უგულებელყოფას ვუპირებდი.

ჩემს სახელოსნოში ვარ ღამით,
კარაქის დანით ვჭრი ჩემი პლასტილინის სკულპტურას.
ფორმები, რომლებიც წინა დღეებში გამოვძერწე მკლავებია, მხრები და მუხლები.
ვჭრი და კვლავ სეგმენტებად ვაკავშირებ პლასტილინის მოყვანილობებს,
არა, თოჯინას ვაწყობ?
მაგიჟებს ოლიმპია
სანამ ვჭრი, სატელევიზიო ოპერას ვუყურებ, ჰოფმანის ზღაპრების ამერიკულ წარმოებას ორმოცდაათიანებიდან.
თბილ ყვითელ და წითელ ფერებში გადაწყვეტილი სცენოგრაფია, აქ ოლიმპია – ადამიანის ხელოვნური ასლი, ოპერის მომღერალია
და, როგორც ჩანს, ბალეტსაც ცეკვავს, ...
პერსონაჟი თოჯინაა – ოლიმპიას სიმღერით მოაქვს თავი ადამიანად,
მსახიობი ადამიანია, რომელსაც ცეკვით თოჯინად მოაქვს თავი,
ბალეტს ცეკვავს და გვესმის, რომ ოპერას მღერის.
ასე ვერ იქნება, ან მოცეკვავე უნდა იყოს ან მომღერალი.
არ არსებობს პროფესიონალი ოპერის მომღერალი, რომელიც თან პროფესიონალი ბალეტის მოცეკვავეცაა.
მსახიობი ზედმიწევნით ბაძავს თოჯინის მოძრაობებს,
ბალეტი ისედაც თოჯინის ცეკვას ჰგავს,
ადამიანის სხეული ისედაც თითქმის თოჯინაა, სახსრებით დაკავშირებული და მოძრაობებში შეზღუდული.
სცენის დასასრულს თოჯინას ნაწილებად შლის ანტაგონისტი.

მე ჩემს სკულპტურებს ვუყურებ,
კარაქის დანა და მკლავის მძიმე ცვილოვანი ნაწილი მიჭირავს ჩემი რბილი ხელით,
ეკრანზე ადამიანის ფეხის ტრომპლეის ვხედავ, ოლიმპიას მოსძვრა (მოაგლიჯეს), შავი ფარდის წინ მოქანავეს.

მუდამ ოთახები და შესასვლელები
ჩაგრეხილები, სწორები
შუქი სერავს, იჭრება
ღარები სადაც ოთახები წყდება
ეს დამყოლი ადგილი
კარკასში

ეს არის ცენტრალური ბაზარი

მას მერე რაც ჩაივლი, თოჯინად წამოიწევი

აქაა მოლანდება და ნამდვილი შეხება

იმისთვის, რომ შეეხონ
მოლანდება ნამდვილდება
თუ ნამდვილი ხდება ლანდი?

ახლა თოჯინა ხარ

ეს გასასვლელი უკვე გაგივლია

ბაზრობის შენობა მოუქნელად შეკოწიწებულ ნარჩენების ნაგლეჯებს განასხეულებს. ნაგებობის ურთიერთსაწინააღმდეგო და დროსამცდარი ფრაგმენტები ურჩხულოვან კომპლექსს აყალიბებენ. ნაწილები იფშვნება, იხრწნება, და იმტვერება, მაგრამ ამავდროულად უწყვეტლივ ემატება განახლებები და კონსტრუქციები.

ერთ დროს ქმედითი სავაჭრო მოლი, ეს ნაგებობა-კომპლექსი დაიშალა და მრავალ ციცქნა ნატეხებად პრივატიზირდა. წლების მანძილზე, მისი სხვადასხვა სეგმენტები ბაზრობის,

კინოთეატრის, სასტუმროს, ტუალეტის, ბორდელის, სადუღარი ქარხნისა და სხვა მრავალ როლს ირგებდნენ.

ახლა ეს ორსართულიანი დერეფნები ნაწარმით, ხილითა და ბოსტნეულითაა გატენილი. ძველი და ახალი აბრები გვერდიგვერდ გამოფენილა და შეჭიდულობა სუფევს მათსა და იმას შორის, რასაც აღნიშნავენ. შეუთანმხებლობა სუფევს შენობის ყველა ფიზიკურ თუ კონტექსტუალურ შრეს შორის.

მუტანტი სხეული, სახსრები, ტკივილი

ეს შენობა წარმოდგენილია, როგორც ანაქრონისტული მუტანტი სხეული, რომელიც დანაწევრდა, ფრაგმენტირდა და ხელახლა აეწყო, რომელიც უწყვეტი რეორგანიზაციის, ხრწნისა და რეკონსტრუქციის პროცესში არსებობს.

ნათქვამია, ბაზარი ქალაქის მუცელიაო, ურბანული სივრცის ეკონომიკური და სოციალური ბირთვი. უშუალოდ ამ ბაზრის შემთხვევაში, მისი ზოგიერთი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული და ჩახერგილია. სხეული – დალილავებული და მოწამლული.

არქიტექტურა, გასასვლელები, ტრანზიცია, დრო

არქიტექტურას გასვლის, ტრანზიტის ფუნქცია აქვს და გადამტან მოძრაობას გულისხმობს.

შენობა და მისი კომპონენტები, მათ შორის ხალხი, დაუდგომელია, უწყვეტ ნაკადად, თუმცა ზოგი რამ დროთა განმავლობაში იჭედება.

ლოგისტიკა, ტრანსპორტი და მოძრაობა სიცოცხლეს ანიჭებს ბაზარს - ნაწილობრივ დაძლოვანებულ ნაგებობას.

ამა თუ იმ გზით ნაზიდი ნაწარმი გარკვეული დროით გროვდება ბაზარში, შემდეგ ახალი ნაწარმი იკავებს მის ადგილს.

ლპობა ყვავილობა

დუღს და გადმოდუღს სცენური კომპლექსი ხილეულითა და ბოსტნეულით, ასე დასანახად რომ ალაგია. მცენარეების გარკვეული ნაწილები დაბლა თავსდება, იქ ლპება, ხოლო საღი ნაწილები ზედაპირზე წამოჭიმულან.

ერთმანეთს ასე მიბჯენილი სიცოცხლისა და სიკვდილის ეს უხვ-ჭარბი და საზარელი გამოფენა წარმოდგენილია როგორც შენობის შესაფერისი გაგრძელება – შენობა თავადაც

ორგანიზმია, ერთდროულად ლპობაშეპარული და მოყვავილე, მოუქნელად, და შესაძლოა ძალდატანებით, შეკოწიწებული ფრაგმენტებით შენარჩუნებული სიცოცხლე.

შეერთების ეს ქმედება ტკივილს ასხივებს.

ულერა, ფრაგმენტი, გარემო, ჭორი

ექსტერიერსა და ინტერიერზე ფიქრი. ნაკლოვანების პერსპექტივით შთაგონებული: ბაზრის მოზღვავება გარს არტყია მშიერ ადამიანს, საპირწონედ.

მზერა, ვიდეოსა და ტექსტში, შესაძლოა, ნაკლოვანების პერსპექტივიდან მომდინარეობს, უშუალოდ შიმშილს არ გულისხმობს. სხეულს აკლია, შიგნიდან გარეთ იყურება, სიუხვის ამოყირავებული პერსპექტივიდან.

ინტერიერის და ექსტერიერის ხმები. შიდა, ბაზრის მოგუდული, მიჩუმათებული მითქმა-მოთქმა და ჭორი, გამვლელებისკენ მიმართულ ხმამაღალ სარეკლამო გამონათქვამებს გადაჭდობილი.

შენიშვნა ბაზრობაზე განსათავსებელი საჯარო სკულპტურისთვის

უშუალოდ ამ ადგილისთვის შექმნილი სკულპტურა, განთავსებული დერეფანში, შენობის დანამატს წარმოადგენს.

დაჩეხილ და ხელახლა აწყობილ სიტყვებზე ვფიქრობ.

სხვადასხვა მოყვანილობის მეტალის სხმულები, რომლებიც წააგავს მკლავს, ქსოვილის ნაკეცებს და კუნთებს, დიდ სკულპტურაშია თავმოყრილი. იქმნება განცდა, რომ ეს აწყობილი ფორმა უწინ ერთი მთლიანობა იყო, რომელიც ნაწილებად დაჭრეს, ახლა კი ისევ ხელახლა ააწყვეს. მაგრამ შესაძლოა რომ ამ სკულპტურის თავდაპირველი მთლიანობის განცდა ილუზიაა და ეს ნაწილები არასდროს ეკუთვნოდნენ ერთმანეთს.

სხვადასხვა მეტალების შერევა, სხვადასხვა ფერისები, სახსრები შესაძლოა რაღაც უფრო რბილისგან იყოს დამზადებული, ვთქვათ პლასტმასის ან ცვილისგან.

სკულპტურა მტკივნეულ შეკავშირებაზე იმეტყველებს, მთლიანობაში ფორმით ემსგავსება ხელს, ნასროლს სპირალში, რომელსაც გასასვლელი დერეფანი მოძრაობაში მოჰყავს. ერთგვარი ნარჩენი ფრაგმენტი, რომლის უწინდელი დანიშნულებაც ბუნდოვანია.

ჭერს მიკრული ნასროლი ხელი სპირალურად დაეშვება, თანადროულად მაღლა აიწევს. გააჩნია, როგორ უყურებ.